



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030491011985320

№ 04-211/თ

10 / აპრილი / 2020 წ.

2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების“ (დანართის N20.2) ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლად რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 27 მარტის N04-183/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N213 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ბ.ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების“ (დანართის N20.2) ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლად რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 27 მარტის N04-183/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების“ (დანართის N20.2) ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლად რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების“ (დანართის N20.2) მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების (ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა) მიმწოდებლად რეგისტრაციის განაცხადის ფორმა (დანართი N1)“;


„ბ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების“ (დანართის N20.2) მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების (ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა) მიმწოდებლად რეგისტრაციის განაცხადის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესი (დანართი N2)“.

გ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული N1 და N2 დანართები შეიცვალოს ამ ბრძანებაზე თანდართული იგივე ნომრის მქონე დანართებით (დანართი N1, დანართი N2).

3. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის აპარატმა, საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდანიშულია
ელექტრონულად 

გიორგი ნონკოლაური